

ფრე მწვავე ბრძოლის შემდეგ

“დინამო” (თბილისი) – “ვვს” (მოსკოვი). 3:3 (2:2).

თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონი. 23 აპრილი.

მსაჯი: ნ. ჩხატარაშვილი (თბილისი).

მატჩის დაწყებიდან ერთი წუთიც არ იყო გასული, რომ კ. გავნიძემ კუთხურიდან ბურთი ახლოს მდგარ ჯოჯუას გაუგორა, რომელმაც კარგად გადააწოდა იგი კარიდან 4–5 მეტრის მოშორებით მყოფ ა. პაიჭაძეს. სტადიონი გოლის მოლოდინში გაინაბა, მაგრამ თბილისელთა თავდასხმის ცენტრმა ბურთი უსუსური დარტყმით ააცილა კარს.

მცირე ხნის შემდეგ ლოლობერიძემ კარგად გაიყვანა გარღვევაზე გავნიძე, მაგრამ აკომოვმა წამით მოუსწრო ბურთს. მე–5 წუთზე დინამოელები უკვე მეორე კუთხურს აწოდებენ. ერთი წუთის შემდეგ კი კილაძე ფინტით უსხლტება შუვალოვს და ურტყამს კარში...

ასე, თბილისელთა მწვავე იერიშებით დაიწყო შეხვედრა.

მოსკოველებმა მოიგერიეს მასპინძელთა შეტევა. ნახევარმცველთა აქტიური დახმარებით ვვს-ის თავდასხმის ხუთეული საპასუხო იერიშებს ავითარებს. მე–8 წუთზე კილაძესთან ორთაბრძოლაში ბობროვი შედის საჯარიმო მოედანში და ზუსტი დარტყმით ბურთს კარის მარცხენა კუთხეში ათავსებს.

... და აი 90–წუთიანი, უაღრესად მწვავე და დაძაბული ბრძოლის შემდეგ გაისმა მსაჯის ნ. ჩხატარაშვილის (მან მაღალ დონეზე ჩაატარა შეხვედრა) საფინალო სასტვენის ხმა. მატჩი დამთავრდა ფრედ – 3:3.

რაზე მეტყველებს ეს ანგარიში? უპირველეს ყოვლისა, ორივე გუნდის თამაშის აგრესიულ სტილზე.

თუ გავიხსენებთ მატჩის მსვლელობას, დავინახავთ, რომ ასეთ ანგარიშში თავისი “წვლილი” აქვთ შეტანილი ორივე გუნდის მცველებსაც: ვერც “დინამოსა” და ვერც ვვს-ის დაცვამ ღირსეული წინააღმდეგობა ვერ გაუწია თავდამსხმელთა იერიშებს.

ამავე დროს უნდა აღნიშნოს, რომ თბილისის “დინამოს” თავდასხმის ხუთეულის თამაშს რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაკლი ახასიათებდა:

ჯერ ერთი, თბილისელებმა (ა. პაიჭაძემ, ლოლობერიძემ და ჯოჯუამ, რომელიც “ყუმბარისებრი” დარტყმით გატაცებული, უგულვებელყოფდა სიზუსტეს) გოლის გატანის რამდენიმე აშკარა შესაძლებლობა დაკარგეს.

მეორე, თავდამსხმელები ზედმეტად იყვნენ გართული ერთმანეთისათვის ბურთის გადაცემით მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედნის მისადგომებთან და თვით... საჯარიმო მოედანზე (!).

მესამე, ძალზე უკანდახეულნი თამაშობდნენ ა. პაიჭაძე და ჯოჯუა და საჭიროებისამებრ ისინი თავიანთ სექტორებში ბურთს ვეღარ უსწრებდნენ. ამავე დროს, ა. პაიჭაძე მოედნის სიღრმიდან ცდილობდა კომბინაციებში ჩაბმას, რამაც ძალზე ადრე მოქანცა იგი. სწორედ ამიტომ მეორე ტაიმი პაიჭაძემ ძალზე ინერტულად ითამაშა, რამაც კრიჟევსკის თავდასხმაში აქტიური მოქმედების საშუალება მისცა (გავიხსენოთ მესამე გოლი თბილისელთა კარში: 65–ე წუთზე კორშუნოვის გარღვევა, ჩანოლება ცენტრში, კრიჟევსკი ბურთს ურტყამს ძელს, ანისიმოვი კი აგვირგვინებს კომბინაციას). ამავე დროს, ჯოჯუა ხშირად უხეშობდა და თავისი პარტნიორების კომბინაციებს წყალში ჰყრიდა.

თავდასხმაში ყველაზე ძლიერად კ. გავნიძემ ითამაშა (ცხადია, არა მარტო იმიტომ, რომ მან მოსკოველთა კარში ორი კარგი გოლი გაიტანა).

ჩვენის აზრით, შეცდომა იყო ა. პაიჭაძის ჭკუასელით შეცვლა. შექმნილ სიტუაციაში უმჯობესი იყო ანთაძის ჩარევა.

სტუმართა შორის პირველ რიგში აღსანიშნავია აკომოვისა და თავდასხმის ხუთეულის, აგრეთვე ნახევარმცველების არხიპოვისა და ოფჩინიკოვის თამაში.

ამ გუნდების დუბლიორთა მატჩში გაიმარჯვეს მოსკოველებმა – 2:1.

მ. გაიძე.

“ლელო”, 27 აპრილი 1951 წ.